1917 წ.—№ 40, კვირა, ღვინობისთვის 15. ფასი 30 კაპ.

ქართველ მწერალთა კონფერენცია—საპატიო თავჯდომარენი

ნ. ნიკოლაძე

ეკ. გაბაშვილისა

ს. მგალობლიშვილი

დ. კლდიაშვილი

თავჯდომარე კ. მაყაშვილი

დუტუ მეგრელი

ამათ გარდა საპატიო თავმჯდომარეებად არჩეული არიან **მელანია და ვ. ბარნოვი,** რომელთა კლიშეები ვერ მოვიძიეთ.

ლვინოვბისთვის 15

[„მწერალთა კონფერენცია“] დედის სული გაუშვიათ, დედინაცვლისას ფიცულობენო, რომ იტყვიან ჩვენს იმ ქართველ მწერალთა ერთ ჯგუფზე ითქმის, რომელმაც გასულ კვირას თბილისში დაიწყო ეგრედწოდებული „ქართველ მწერალთა კონფერენცია“.

ოჰ, მერე რარიგ საჭიროა ჭეშმარიტ მწერალთა, ნამდვილ კალმის მუშაკთა გულწრფელი, არა გულღრძო სიტყვა დღეს!

მაგრამ ვინ არის ამის მთქმელი!

ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება გასულ საუკუნეში და განსაკუთრებით უკანასკნელ ოცდაათეულ წლებში ისეთ პირობებში მოემწყვდა, რომ მთელი ჩვენი მწერლობა, ფრიად მცირე გამონაკლისს გარდა, ვიწრო პარტიულ-ჯგუფურ ჩარჩოებში ფართხალებდა.

რასაც პარტიულ-პროგრამულ ელფერი არ ჰქონდა შეუწყნარებელი იყო, ვინც ამა თუ იმ პარტიას არ ემხრობოდა—მისი მწერლობა-მოღვაწეობა ჩალადაც არ ფასობდა.

დაეცა ნამდვილი, მიუდგომელი, თავისუფალი შემოქმედება, მხატვრული გემო და ფერადებით თვით აზროვნება!

ჟურნალ-გაზეთობა განსაკუთრებით დღიური პარტიოლოგიულ ცნობებით შეივსო!

კარი დაეხშო სამართლისა, უკვდავება და გონებას, ყოველმხრივ გამაფაქიზებელ მწერლობას!

ნიჭს ლაგამი ამოედვა, აზროვნებას—ბორკილი.

მწერალთა დიდი უმეტესობა წვრილ ლექსებსა და მინიატურებზე დახურდავდა.

დაეცა ბელეტრისტიკა და, უფრო ამის გამოც, დრამატურგსაც თვით შემოქმედების წყარო დაუშრა!.

აბა, თუ უკანასკნელ ათეულ წლებში რამე ღირს სახსოვარი შექმნილიყოს!

არარა, არაფერი!..

პარტიულ ჯგუფურმა შმორმა მოშხამა, მთელი მწერლობა.

და აი ასეთ უნუგეშო დროს დიდის აღფრთოვანებით მოველოდით ქართველ მწერალთა კონფერენციას.

გვეგონა, იგი პირველი გამოესარჩლებოდა მწერლობის თავისუფლებასა და ნიჭის დამოუკიდებელ შემოქმედებას!

გვეგონა იგი შექმნიდა ისეთ პირობებს, რომელთა შორის ყოველ ნიჭიერ მწერალს თავისუფლად შეეძლებოდა თავისის ნიჭის განვითარება!.

გვეგონა, ეს კონფერენცია შექმნიდა ერთს მოზდილ პროგრესიულ ორგანოს ქართულ მხატვრობითი ნაწარმოების ფართის გასაშლელად.

მაგრამ უქმად გვეგონა, მწარედ მოვსტყუვდით!

კონფერენციის შემადგენლობა, ვითომ და მწერალთა დიდი უმეტესობა, როგორც ვსთქვით, დაიქსაქსა, თავის პირდაპირ მოწოდებას გზა აუხვია და სხვა და სხვა პოლიტიკურ მიმდინარეობის წარმომადგენელთა მოღვაწეობის დაფასებასა და პირად ჟინიანობას უფრო მეტი დრო მოახმარა.

სირცხვილია, ცოდვაა!!

ჩვენი ჟურნალიც მთელი თვისის შემადგენლობით პროტესტს აცხადებს მწერლობის სახელის ასე გამტეხთა წინააღმდეგ!

ერთხელაც არის საზღვარი უნდა დაედოს თუ არა ჩვენი სულიერი შემოქმედების გაბიაბრუებას!..

ე პ ი ტ ა ფ ი ა

ჩემს სიცოცხლეში არ მინახივს
დილა მზიანი,
კაეშნიანი შევყურებდი
მთვარე-ვარსკვლავებს;
პირ-შავ ღამეებს ვატარებდი,
გულ-ბოღმიანი,
თვალ-ცრემლიანი მივეფარე
მყუდრო საფლავებს.



ქართული დრამატიული კურსები

წინად ის გვაწუხებდა, რომ ჩვენი საზოგადოება ქართულ წარმოდგენებს მაგრე რიგად არა სწყალობდა, უფრო რუსულს ეტანებოდა. (რასაკვირველია, მხედველობაში არა გვყავს ქართული დემოკრატია, რომელიც ყოველთვის დარაჯათ უდგა ქართულ ხელოვნებას).

ახლა დრო-ჟამი შეიცვალა. ეროვნული გრძნობა და შეგნება, რომელიც წინედ სანთლით იყო საძებარი, ეხლა განვითარებულია. ქართული წარმოდგინები გაჭედილია ხალხით და თუ რუსულსაც ესწრება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ჩვენი თანამემამულე მონაწილეობს.

მაშასადამე ჩვენი მსახიობი ზნეობრივად და რამოდენიმეთ ნივთიერათაც დაკმაყოფილებულია.

ამის შემდეგ მას უფრო მეტი მოეთხოვება, ვიდრე წინედ, როცა მას არა ნორმალურ პირობებში უხდებოდა მუშაობა.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჩვენი მსახიობნი სვინდისიერად ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას, მაყურებელზედაც შთაბეჭდილებას სტოვებენ, მაგრამ არა სრულს!

რატომ?

მიტომ რომ მათ სკოლა არა აქვთ. არა აქვთ შესწავლილი სასცენო ტეხნიკა, დიქცია, მიმიკა და სხ. ამგვარი რამ.

აუცილებლათ საჭიროა ამ ნაკლის გამოსასწორებლად დაარსდეს ქართული დრამატიული კურსები.

ვინ უნდა ითავოს ეგ საქმე?

ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ, თუ იგი ფაქტიური საზოგადოებაა და არა ფიქტიური.

თუ ამის უნარი არ შესწევთ, მოვალენი არიან ასპარეზი სხვას დაუთმონ.

მართალია წინედ არსებობდა დრამატიული კურსები, მაგრამ იქ ასირიულ ისტორიას უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ, ვიდრე ხელოვნებას.

სასწავლო გეგმა კურსებისა განსაკუთრებით ხელოვნების შესწავლას უნდა აქცევდეს ყურადღებას.

აქ არ უნდა ჰქონდეს ალაგი იმ საგნებს, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ ხელოვნებასთან.

კურსები სავალდებულო უნდა იყოს ყველა ჩვენი მსახიობის და სცენის მოყვარეთათვის.

გარეშეთაც, თუ მოისურვებენ, შეუძლიანთ, რასაკვირველია, შევიდნენ კურსებზე.

სწავლება ჯერ-ჯერობით უნდა იყოს უფასოდ.

მოვიზიდოთ ხალხი, თორემ ქართულ მსახიობის ნივთიერმა გაჭირვებამ ისე დააშინა ჩვენი ხელოვნების მოყვარულნი, რომ სცენის სამსახურს ისე გაურბიან, როგორც ჭირს,

ამნაირი მდგომარეობა მომავალში, რასაკვირველია, გამოიცვლება.

მასწავლებლებიც გვყავანან: აბაშიძე, მარჯანიშვილი, წუწუნავა, მესხიშვილი, გუნია, ჩხეიძე და სხვა. შეიძლება უცხოც მოვიწვიოთ...

ამ რიგად ჩვენ შევქნით საკმაო რიცხვს ხელოვან მსახიობებისას და თეატრის მნიშვნელობას ავამაღლებთ. ხელოვნების აყვავებასთან ხომ დაკავშირებულია ხალხის სულიერი განვითარებაც, რაც საჭიროა ეხლა, როცა მატერიალიზმისთვის ბრძოლამ ყველაფერი დაგვავიწყა.

სვ. წერეთელი.

ისტორიული შეცდომა

(ქართ. ფილარმონიულ საზ-ისა და ეროვნული მუსიკის შესახებ)

ნათქვამია, ურემი რომ გადაბრუნდება—გზა მაშინ გამოჩნდებაო. ეს ანდაზა სავსებით გამართლდა ცხრაას ხუთში.

მაშინ, როდესაც ჩვენს თავად-აზნაურობას ურემი გადაუბრუნდა და თავი ამოყო რევოლუციის ცეცხლში, გამოჩნდა იმ გზის უკულმართობა, რა გზითაც რევოლუციამდის იგი ვიდოდა. ეს იყო ის ცალმხრივი მოღვაწეობა რომელიც გამოიხატებოდა საქართველოს ინტერესების უარისყოფაში ეროვნულ იდეის შეუგნებლობაში, რის გამო თავად-აზნაურობას ხალხისკენ ზურგი ქონდა შექცეული და წოდებრივ პოლიტიკას აწარმოებდა.

ასეთი პოლიტიკა ადვილად ბადებდა იმ ეჭვს, რო, მათი აზრით, საქართველო იყო თავად-აზნაურობა და არა მთელი ერი. ამიტომ გათიშულმა ხალხმა ცხრაას ხუთში ისინი—თავად-აზნაურები—ვერ იცნო თავის კეთილის მყოფად და განშორდა.

მაგრამ შემდეგ თვალსაჩინო გახდა შეცდომების დანახვა და ჩვენი მოწინავე წოდებაც შეეცადა ეწარმოებინა ეროვნული პოლიტიკა, რის გამო დღეს მათ შეგნებული ქართველობა ისე უარყოფით აღარ უყურებს, როგორც წინათ.

ამ წერილის მიზანია არა ვინიმე გაკრიტიკება, არამედ წარსული ისტორიული შეცდომემით დღევანდელი შეცდომების ნათელ ყოფა და მის გათვალისწინება.

დიალ, ასეთ უთავბოლო შეცდომებს დღეს ალაგი აქვს ჩვენს ინტელიგენტთა წრეში.

ქართველი ინტელიგენციაც, ძველ თავად-აზნაურთა მსგავსად, ერად სთვლის თავის თავს. ამ. ტომ მისდა უნებურად მისი მოღვაწეობა ზოგიერთ შემთხვევაში ანტი-ეროვნულია. ასეთი მიდრეკილება მას უფრო მეტად ეტყობა ხელოვნების დარგში.

თუ ამ ინტელიგენციამ დღემდე ვერ შესძლო შეექმნა ხალხური თეატრი ან განვითარებინა ხალხური ტონური ხელოვნება, *) ეს იმიტომ რომ „ქართველი ერი“ ეს ინტელიგენცია, რის გამოც ეროვნულ ხელოვნებაღ ის მიაჩნია რაც ამ „ქართველ ერს“-ინტელიგენციას მოსწონს.

ჩვენში მოაზროვნე და ცხოვრების მეთვალყურე ინტელიგენციაა და აბა ინტელიგენცია როგორ გააკრიტიკებს თავის მრუდე გზას, სანამ ურემი არ გადაბრუნდება?! მაგრამ მაშინ რომ გვიანლა იყვეს?

აბა, ჩავყვეთ ქვევით, თუ ზემო მოყვანილი შენიშვნები მათი მოქმედებიდან არ გამომდინარეობდეს.

ყველას მოეხსენება, რომ არსებობს ქართული ფილარმონიული საზოგადოება. როგორც ყველა საზოგადოებას, მასაც აქვს თავის მიზანი. მისი მიზანია ეროვნულ ტონურ ხელოვნების განვითარება, ერის ამ ხრივ დაკმაყოფილება.

ასრულებს ამას იგი? მე ვიტყვი, რომ არა. მის ტონურ ხელოვნებაში, ისიც იშვიათად, მარტო სიტყვებია ქართული, დანარჩენი მომეტებულ შემთხვევაში ევროპიული გემოვნების ჭანგებით განისაზღვრება. მაგრამ რადგან ევროპიული გემოვნება ჩვენს ინტელიგენციას მოსწონს, ამიტომ „ქართულ ფილარმონიული საზოგადოება“ ასეთი ჭანგებით იკვებება და იგი ეროვნულ საზოგადოებათ არის მიჩნეული.

გვეტყვიან: ჩვენი ერი ამ მხრივ მოიკოჭლებსო. ამიტომ თანამედროვე მელოდიის განვითარებას უნდა შეუწყოთ, ხელიო რადგან ეროვნული მუსიკა აღმოსავლეთისა სჯობიაო.

ეს შეხედულობა სწორია ინტელიგენტურ თვალსაზრისით, არ არის სწორი ეროვნულ იდეის თვალთა ხედვის ისრით.

ვისაც ერად ქართველი ხალხი მიაჩნია და არა რომელიმე განსაკუთრებული ჯგუფი, ის გაუწევს ანგარიშს ეროვნულ მუსიკალურ გემოვნებას და ეცდება ეროვნულ საძირკველზე მის განვითარებას ისრე რო ხალხური ელფერი არ დაჰკარგოს. ამ გზით სიარული შეგვძენს ხალხურ თეატრს და ეროვნულ-ტონურ ხელოვნებას, რის შემდეგ ჩვენი თეა-

*) იგულისხმება მუსიკა

ტრიც ისრე აღარ იქნება ცარიელი, როგორც დღეს არის. აღმოსავლეთის მუსიკალური გემოვნება თუმცა ნაციონალური ხელოვნება არ არის, მაგრამ რადგან ჩვენი წინაპარი მრავალ ჟამთა განმავლობაში მით კმაყოფილდებოდა, ამიტომ ჩემის აზრით ჩვენც აღმოსავლეთური მუსიკა ისრე უნდა მიგვაჩნდეს, როგორც მშობლიური ტონური ხელოვნება ამის გამო ეროვნულ გრძნობის შელახვად უნდა ჩაითვალოს, როდესაც წინაპართ ჰანგებს ჩვენი ინტელიგენტები ქუჩურ ნაწარმოებათ აღიარებენ.

შეიძლება „არშინ მალანი“ ქუჩურ ჰანგებს მოგვაგონებდეს, მაგრამ თვით სარჩული ოპერეტის ქუჩური არ არის. აღმოსავლეთური გემოვნება იმდენად მაღლა დგას ევროპიულ გემოვნებაზედ, რავდენადაც მაღლა სდგას აღმოსავლეთელის გრძნობიერება ევროპიელის გრძნობიერებაზე. თუ მუსიკა გრძნობათა განცდის შედეგია და აზიელი-კი მეტი გრძნობიერია ვიდრე ევროპიელი, რასაც ფსიხოლოგები ამტკიცებენ, მაშინ აღმოსავლეთის მუსიკაც მეტი გრძნობიერი უნდა იყვეს ევროპიულ მუსიკაზე, რომელიც ჩვენმა კომპოზიტორებმაც აღიარეს.

თვით მუსიკის ბუნება, ვისაც ის ღრმათ ესმის, ამას ადასტურებს. მხოლოდ რომ ის ჩამორჩენილია და არ არის განვითარებული, ეს იმ მრუნდე გზის ბრალია, რომელსაც კერძოთ ჩვენი ფილარმონიული საზოგადოება ადგია და საერთოდ ჩვენი ინტელიგენცია.

ვინც ერის სამსახურს ისახავს მიზნად, ის იხელმძღვანელებს იმ თვალსაზრისით, რომელიც არის მოქცეული ეროვნულ იდეის ფარგალში და რომელიც ყოველს ჩვენთაგანს უჩვენებს ვინ რა უნდა აკეთოს და ვინ რა აკეთებს.

დროა, ვიმოქმედოთ ეროვნულ იდეის საღ შემეცნების თვალსაზრისით და ნუ მოუცდით ურმის გადაბრუნებას, და ადრევე ვიცნოთ ის გზა, რომელზედაც უნდა ვიდოდეს ყოველი ეროვნული მუშაკი. ასეთად ჯერჯერობით ჩაითვლება ის გზა, რომელსაც ადგიან ჩვენი მეზობლები ხელოვნების გარ- ში.

მუშა მახ. ლმ.

აკაკი მეორე თუ ირაკლი მესამე?

ირაკლი მეორე და აკაკი—ორი ისტორიული პიროვნება, რომლებიც საქართველოს ძეთ არ დაავიწყდებათ. ერთი, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის მზის ჩამსვენებელი, მეორე ჟითარცა საქართველოს აღორძინების ცისკარი.

ირაკლა მეორემ—პატარა კახმა ახალ გაზრდობაში თვისი ვაჟკაცობით სპარსეთს სხვა და სხვა ლაშქრობით სახელი განუდიდა, მრავალი ბრძოლა გადაიხადა, საქართველოს სახელი განაბრწყინა, გარეშეთა მეხი და ზარი შეიქნა, მაგრა ბოლო ხანებში ჩრდილოელებთან შეკავშირებით ასპინძასთან საქართველოს დამოუკიდებლობას სამარე გაუთხარა...

ამ დიდმა სარდალმა, ამ გმირთა გმირმა, ქართველი ერის ბამად წოდებულმა მეფემ, რომელიც ერთხანად ეცხოთა ძლიერეს ირანს მარჯვენა ხელი იყო, თვისი საქართველოს დამოუკიდებლობა ვერ უზრუნველაყო და დაქსაქსულ სამეფოს ჯვარი სამშარეში თან ჩაჰყვა...

ეს იყო მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს.

დახეჭა ერეკლე მეორემ თვალი და საქართველოს დამოუკიდებლობის მზეც ჩაესვენა მისი მემკვიდრის უნიჭობით.

დამოუკიდებლობა დაკარგული სრულიად საქართველოს ხალხი ახალი ბატონების საწყველ ფურად შეიქმნა.

და იმ დროს, როდესაც მტერი ქართველი ერის სიკვდილს დღესასწაულობდა, იმ დროს, როდესაც ჩვენი ავადმახსენებელნი საქართველოს სულთათანას უგალობდენ, მოგვევლინა მზე-სხივოსანი აკაკი, რომელმაც წინასწარმეტყველურად ჩამოგვძახა: საქართველო

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს

და ისევე გაიდვიძებს!..»

და შთაგვბერა სული თავის თავის რწმენისა, განახლებისა, საკუთარ ფეხზე დადგომისა..

რწმენით, აზრით გაერთიანდა საქართველო და აკაკი შეიქმნა მისი სულიერი მეფე.

აკაკის სიტყვა, რწმენა, მისწრაფება—ეს წამებული საქართველოს სიტყვა, რწმენა და მისწრაფებაა.

სულ-მნათი მგოსანი იმასაც კი მოესწრო რასაც დიდის ხნით შემღეროდა—ნამდვილი საქართველოს—ქართველი მუშა-მშრომელთა გამოფხიზლებას, მაგრამ იმას კი ვეღარა ეღირსა, რასაც ჩვენი ქვეყნის მეორე ბუმბერაზი ილია შეჰნატროდა,—სახელდობრ მთიულის პირით რომ გვიმოძღვრა: ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოსო.

რაიცა ვერ მოახერხა ირაკლი მეორემ—მეფემ შესძლო აკაკიმ: საქართველო ეროვნულად გაათვითცნობიერა და მოამწიფა აზრი სრულიად საქართველოს აღდგენისა!

აკაკიმ განისვენა მეორე საუკუნის ერთა განთავისუფლების განთიადზე და თავის სულიერ შვილთ გვიანდერძა საქართველოს ბედნიერებაზე ზრუნვა.

ქართველი ერი უკვე პოლიტიკურად მომწიფდა, გაიზარდა და მისმა დემოკრატიამ წარმოშობა რამდენიმე საუკეთესო პოლიტიკური მოღვაწე რომელნიც ამ ჟამად მეფედ ჩაითვლებიან არა მხოლოდ ქართველის არამედ რუსეთის დემოკრატიისაც და მალე, შესაძლოა, ევროპიის დემოკრატიასაც კი მოეღინონ მესხიად.

ბევრი მათგანი დღეს რუსეთის დემოკრატიის ჰბელადობს

ბევრი მათგანისთვის ჩვენი ეროვნული საკითხი არ არსებობს ან თუ არსებობს—ცალყბად. გაიმარჯვებს ჩვენი სამშობლო--რუსეთის დემოკრატია—გავიმარჯვებთ ჩვენცო.

დიაღაც დემოკრატიის გამარჯვება -დემოკრატიულ მისწრაფებათა გამარჯვებას გულისხმობს, მაგრამ განა ეს შესაძლოა რუსეთის მმართველთა ხელში?

სამწუხაროდ იმედის გაცრუების ბევრი მწარე გაკვეთილი გვახსოვს.

პირობების დარღვევასაც ბევრ შევესწარით.

რუსეთის დემოკრატია ჭეშმარიტად უნდა ამაყობდეს ამგვარი ბელადებით და ამაყობს კიდეც.

ალბად ეს კარგად უწყიან ჩვენის ქვეყნის ამ სახელოვანმა შვილებმა, რომ იგინი განსაკუთრებით რუსეთის ბედით არიან გატაცებულნი.

თანამედროვე ომმა და რევოლიუციამ ჩვენს ქვეყანას (აგრეთვე სხვა ერთაც) ავტონომიური მართველობანი უეჭველად უნდა მიანიჭოს და ეს ამ თავითვე განსაკუთრებულის სახემწიფო სიგელით უნდა გამოცხადდეს თუ არა?

ჩვენს სამშობლოდ მთელი რუსეთის გამოცხადება კიდევ სავსებით ვერ აკმაყოფილებს ქართველი ხალხის მისწრაფებას.

ირაკლი მეორეს და მას შემდეგ ჩვენს თავად-აზნაურობას (მათ შორის დიმიტრი ყიფიანსაც-კი პირველ ხანად) ღრმადა სწამდა, რომ რუსეთს რაც უფრო ნდობით და მონამორჩილად მოვექცევით, უფრო მეტს იზრუნებს ჩვენზე.

მაგრამ ეს იმედი გაცრუვდა.

ვინ არის თავდები, რომ დღესაც ასე არ იქნება?

რუსეთი და ერთა თავისუფლება?—ეს ხომ ცრუ მოჩვენებაა და ყველაზე მეტი ანგარიში ამას დაჩაგრულ ერთა შვილებმა, ისიც პოლიტიკურმა მოღვაწეებმა უნდა გაუწიონ.

დროა, ჩვენი დემოკრატიის ბელადებიც უფრო მეტი ყურადღებით მოექცნენ საერთოდ ჩვენის ქვეყნის მდგომარეობას.

მაშინ ქართველი ხალხი უფრო მეტს მოიგებს, რუსეთიც იხარებს და არც საერთაშორისო დემოკრატია იქნება წაგებული.

თანამედროვე ომი და რუსეთის რევოლიუცია რომ ეროვნულ მისწრაფებათაც ატარებს—ეს ხომ დაფარული აღარ არის.

ყოველი რევოლუცია და ომიც მეწყერსაც წააღლია თუ ამა თუ იმ ქვეყნის ხალხი (ამ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა) ამ რევოლიუციიდანაც პირში ჩალა გამოვლებული დარჩება.

ჩვენი დრო დიადი ისტორიული ხანაა. საშვილიშვილო შეცდომას უნდა ვერიდნეთ, მით უმეტეს, როდესაც გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწენი გვყავნან.

შადიმან ბარათაშვილის, დიდი მოურავის, ლევან სჯულმდებლის და სხვა მისთანათა შეცდომები აღარ უნდა განმეორდეს.

ჩვენ გვჭირია არა ირაკლი მესამე, რომლის წინა მოსახელემ რუსეთის იმედით ქართველებს ყელი გამოსჭრა და საქართველო პირობის დამრღვევ რუსის გენერალ ტოტლებენის წინაშე

წამოაჩოქა, არამედ აგაგი მეთრე, რომლის წინა მოსახელემ თავისუფალი საქართველოს აღდგენა გვიგალობა.

ახას მოითხოვს ქართველი ხალხის განვითარების აუცილებლობა.

ქართველი დემოკრატიის ღირსეული ბელადიც ამ გზას უნდა დაადგეს.

იოსებ იმედაშვილი.

რომ არ ვხედავდე!..

მსურს, ოცნებისა ტალღამ ჩამძიროს
და იქ უფსკრულში ტკბილად მეძინოს;
მით მაინც დავსტკბე, სულით გავმხნევდე,
რომ თვალთაგან ცრემლნი აღარ მედინოს.

—:—

მსურს მარტოდ მარტო ზღვისა კიდესთან
მხოლოდ მესმოდეს ზვირთების ტყორცნა,
და მრავალ წლობით წამებულ გულსა
ოდნავ ატკბობდეს მის ტალღათ კოცნა.

—:—

რომ არ ვხედავდე მონურ სამშობლოს,
ოცნების უფსკრულს მსურს ჩამეძინოს;
მით მაინც დავსტკბე, სულით გავმხნევდე,
თვალთაგან ცრემლნი აღარ მედინოს.

—:—

ვარლამ ჩლაიძე



ქ. ყარსის საკრებულოში შაბათს 16 ენკენისთვეს ქართველ განმანათლებელ საზოგადოების სასარგებლოდ ადგილობრივმა ინტელიგენციამ გამართა სალიტერატურო-დრამატიული საღამო, 5 განყ. 1) განყოფილებაში რუს სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ერთ მოქ. მხიარული კომ. „ფოტოგრაფობის მოყვარე“, რამაც საზოგადოება აცინა. ქართველმა სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს „ქაქო ყაჩაღი“. ქართველმა სცენის მოყვარეებმა ქართველ საზოგადოების მოლოდინი ვერ გაამართლეს: მიუხედავად ბილეთების სიძვირისა, აუარებელი ქართველობა დაესწრა, რომ ქართული წარმოდგენისათვის ეყურებია, მაგრამ ჩვენმა სცენის მოყვარეებმა იმედი ვერ გაგვიმართლეს. „ქაქო ყაჩაღი“ს მხოლოდ ოთხი თავი (?) კუპლეტი შეასრულეს რომელსაც არავითარი შინაარსი არ ჰქონია (მოქმედება 7 წუთს გასტანა). დაუკრა სიმფონიურმა ორკესტრმა. 4) მოქმედებაში ეროვნულ ტანისამოსებში გამოწყობილთ ქართული სიმღერები უნდა შეესრულებინათ, მაგრამ აქაც გვიმტყუნა ბედმა, აიწია ფარდა და სცენაზე გამოჩნდა რამდონიმე მომღერალი ევროპიულ ჩოხებში (ზოგიერთი პაგონებით) და ბატონი გამგე სადამოის ოფიცრის ფორმით, რომელთაც იმღერეს რამდენიმე სიმღერა, რამაც საზოგადოებას მთელი გემოვნება დაუკარგა 5. დივერტისმენტში ქართულად ასრულებდა მხოლოდ ერთი ჩოხიანი, რომელმაც ორი იმერული სცენა წაიკითხა.

დაბოლოს დაუკრა ზურნამ და გაიმართა ცეკვა. მეტად ასიამოვნა როგორც ქართველ აგრეთვე რუს საზოგადოებას ქართველების კინტოურ ტანისამოსში ლეკურის და ბაღდადურის თამაშმა. იყო აზიური ბუფეტი, ფოსტა და აუქციონი. დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. წესიერებაზე დაპირაკიც მეტია.

იმედია, ეს პირველ და უკანასკნელი შეცდომა იქნება აქაური სცენის მოყვარეთათვის და მომავალში უფრო დაკვირვებით მოეკიდებიან ხელს საქმეს.

გრ. ესმაშვილი

ავტომობილის მსხვერპლი

ალექსანდრე (საშა) ვარდენის (ვარლამი) ძე ავალიანი, პირველ გიმნაზიის მოწაფე. ავტომობილმა გაიტანა ღვინობისთვის 6.

თბილისელ შოფერთა თავგასულობას საზღვარი აღარ უჩანს.

დღე არ გავა ერთი ან ორი ადამიანი არ იმსხვერპლონ.

და პატრონიც არა სჩანს, რო მათს გაუფრთხილებლობას ლაგამი ამოსდოს!

ღვინობისთვის 6 ავტომობილმა გაიტახა ვარდ. ავალიანის ბავში, გიმნაზიელი, ფრიად ნიჭიერი მოზარდი რომელიც მომავლისათვის ბევრ კარგს იმედს იძლეოდა.

გული ბოღმით მევსება, როცა ხედავ უპასუხის მგებლო ვაჟბატონნი როგორ შეუბრალებლად სცვლავენ ჩვენი ცხოვრების ყვავილებს.

ნუთუ საზღვარი არ დაედება?

ერთა წმინდა.

დაპბერა ქარმა... ცას ღრუბელი გადაეწმინდა;
და შორს გამოჩნდა მოციმციმე, მნათობი წმინდა,
— ერთა წმინდა!..
და გაუნათა წამებულთა; უმღერა ძმობას,
და თავ-დადებულთ მოუწოდა: ჰბრძოდენ მონობას,
—ყმოდენ ერთობას!..
და აიშალა ხალხი მონა, გაღვიძებული,
დაამხო ძველი... მოგუგუნებს გახარებული,
—შეყვარებული!..

ს. ერთაწმინდელი

ი. ზარდალიშვილი კოლას ოლში „გადაპრილი მუხა“ ნახ. ლ. გუდიაშვილისა



ქართველი მრეწველ-დემოკრატიული ახალგაზრდა მსხეთაში

სოფლელის ნამბობი

დიდება შენთუ ღმერთო! კაცო, ეს ქვეყანა წინათაც ჭრელი იყო და ახლაც ჭრელია

მანამ ე რებულიცია დაიწყობოდა, თავადი, მდიდარი, მღვდელი, ბერი ერთი სიტყვით ყოველა სოფლის მოხელე სისხლსა გვწოვდა ამ გალატაკებულ მუშა ხალხსა. რა წამსვე რებულიცია დაიწყო და თავისუფლება გამოცხადა მაშინვე ყველამ გულზე წითელი ნაჭრები შეიბეს და იძახოდნენ, ჩვენც რებულიციონერები ვართ, ჩვენც ცოციალა მეკრამიტები ვართ!

ვიფიქრეთ: კაცო, მართალია დღემდის ჩვენი სისხლის მწოველები იყვნენ, მაგრამ თუ ეხლა ესენიც ჩვენსკენ იქნებიან, უნდა ვაპატიოთ და ამას იქით ყველამ ძმურად ვიცხოვროთ მეთქი. მამა ონოფრე ოპელატიის (კოპერატივის) თავმჯდომარედ ამოვირჩიეთ, როგორც სულის მამა: არავის გვიღალატებს მეთქი. ეს მართალიც გამოდგა, თუმცა არაფერი გაუკეთებია, მაგრამ მაინც მადლობის ღირსია, რომ ჩვენი ფული ისევ თავნიანათ ჩაგვაბარა; ექვს თვეში არც ერთი კაპეიკი არ დაჰკლებია. ე ზაქარა თუმცა სოფლის მოხელეთ იყო ნამყოფი და ბევრი რამაც ახსოვდა ხალხს იმისგანა, მაგრამ როგორც გამოცდილი მოხელეობაში კომინტენტათ ამოვირჩიეთ. მწერალი ისევე დავანარჩუნეთ თავის ადგილასა, როგორც გამოცდილი: ქრთამს ვერ აიღებდა, რადგან ერთობაში თითონვე ერია და ერთობის ხალხს ხომ ქრთამი ეჯავრება.

ასე, ამ რიგად ყველა ერთობასა და ძმობასა ქადაგობდა და ვცხოვრობდით ტკბილად.

შემოდგომა მოგვიახლოვდა, შიმშილმა კარები დაგვიკაკუნა: წამოვავლე ტომარას ხელი და მივედი ჩვენ კომინტენტთანა, რადგან ჩვენს სოფელში წელს ყველაზე მეტი პური იმას მოვუვიდა.

სადა მაქვს პურიო, ისეთი დაიღრიჯა რო სახლში რო ჩამოველი, ბიჭის ხელით ორი პური გაუგზავნე. მწერალთან მივედი: სასყიდლად მივდივარ სხვა სოფელში და თუ გინდა შენც წამოდიო. იქიდგან კნიაზ იოსებს მივადექი კარებზე და ისევ ძველებურად მოვიკაკვე და დაუწყე ვედრება (ეს ოხერი კიდევ არ დამავიწყდა რო კნიაზობა აღარ არის და ეხლა ყველა ერთი ვართ!) ცოლშვილი მეხოცება, შემიბრალე და ორი კოდი პური მომყიდე მეთქი.—თუმცა წლის ბოლომდე ოცი კოდიც მომინდებოდა, მაგრამ ფულზე უკაცრავად გახლდით.

—პური კი არა მაქვს გასასყიდი, მაგრამ როგორც პატიოსან კაცს, ორ კოდს უსასყიდლოთ დაგითმობო.

—შენ კი გენაცვალე სულში, იოსებჯან მაგ სიკეთისთვის: მიმსახურე როგორც გნებამთ მეთქი.

შენი სამსახური რათ მინდა, შენი ბიჭი იყვეს ჩემთან ერთ წელიწადს და ერთ კოდ სიმინდსაც მოგცემო.

გავიგე იმის მუცლის გვრემაცა და გამოვწიე ცარიელი, ჩემი ბიჭი თვეში ოც თუმანს იღებს, ის არა ყოფნით ჩემ ცოლშვილსა და იმის სამი კოდი როგორ შეგვინახამდა.

ერთი კვირაც რო დაგვცლოდა სული ამოგვძვრებოდა ერთობას კაცი რო არ მოსულიყო და არ ჩამოერთმია ზედმეტი პურები და ჩვენისთანა საწყლებისათვისა არ დაერიგებინა. მწერალს ოცი კოდი აღმოაჩნდა ზედ მეტი, კომინტენტს ორმოცი და იოსებს კი ოცდა თხუთმეტი, რომლის ჩამორთმევის დროს სუყველა უკმაყოფილონი დარჩნენ და ერთობას ცუდის სიტყვებით იხსენებდნენ. კომინტენტმა თავი გაანება მე უჯამაგიროთ ვერ ვიმსახურებო. მწერალი ქალაქს წავიდა ადგილის საშოვნელად თქვენი ჯამაგირი არა მყოფნისო, იოსები ხომ სულ გადირია: კარებზე აღარავის არ გვატარებს თუ რამე დაგვჭირდა გასაწერი და მივედით მაშინვე იმას გვეტყვის წადით და ქალაქელ ერთობას კაცს დაწერინეთო.

ე შვილოსა ახლა-კი მივხვდი ჩვენი ბატონები როგორი ერთობის ხალხიცა ყოფილან! ერთობის ხალხი მანამ ყოფილან, მინამ ჩვენი თავი სჭირებიათ.

მუშა ზაქარია ზემო-ხანდაკელი.

(იხ. „თ და ცხ. № 39)

შუბლზე ჭკოტნის) ეხლა კი ლმერთი ჩვენკენ არის., ის მოგცემს შეძლებას.... ე·. დიახ!.. (შიდის სწოლ ოთახში.)

(იოჭანესი გაუნძრევლად ზის. ერთი წუთის შემდეგ წამოხტება, იწყებს ქქეთ-ქეთ წეკეტებს, მერე შედგება. ფანჯრიდან ბნელ სივრცეში ეურებს იწყებს. ხდებს შემოსავალ კარებს).

იოჭან. ვინ არის?

ფრ. ანნა. მე ვარ, ბატონო იოჰანეს,! (შემოდის)

იოჭან. გამოუმშვიდობებლად გინდოდათ წასვლა? (ოთახში დადის)

ფრ. ანნა დიახ ვყოყმანობდი... ბოლოს ასე ვამჯობინე....

იოჰან. საშინელ დღეში ვარ .. მამაჩემი მოვიდა. მაგ მდგომარეობაში ჩემ სიცოცხლეში არ მინახავს!. სხვა დროს ყოველთვის მხიარული და კმაყოფილი იყო ხოლ მე... ეს გარემოება საშინლათა მტანჯავს. მეორე მხრით კიდევ, არ ძალ-მიძს გულდამშვიდებით უყურო თქვენს წასვლას, ფრეილინ, და.....

ფრ. ანნა რა ვქნათ ბატონო ექიმო! სულ ერთია, ოდესმე ხომ უნდა წავსულიყავ..

იოჰან. მაგრამ თქვენ არ უნდა წახვიდეთ ვერ უნდა გაბედოთ წასვლა, განსაკუთრებით ეხლა, ამისთანა დროს (ჯდება ხელებზე და ნიდაყვებზე დაყრდნობა და ხმა მაღლა ოხრავს).

ფრ. ანნა (დაბალი ხმით თანაგრძნობით) ბატონო ექიმო!

(თავზე ხელს გადუსვამს.)

იოჭან. (სწორდება ოხრავს) ოხ, ფრეიდინ ანნა!..

ფრ. ანნა. გაიხსენეთ—ამ ერთი სათის წინეთ რაზედა გელაპარაკობდით... აუტანელობას ხომ სათნოების სახელს ვერ მივაკუთნებთ?

იოჭან. (დგება და საშინელი ხელოვნებული დადის ოთახში) მე ალარ მახსოვს რაზე ვლაპარაკობდით.. ალარაფერი ალარ მახსოვს... ჩემი თავი სულ ერთიან გამოცარიელებულია... ალარც ის მახსოვს მამას რა ველაპარაკე. ალარაფერი არ მახსოვს.. თავში ალარა ყრიარა..

ფრ. ანნა ეჰ, ბატონო იოჰანეს! უმჯობესი იქნებოდა ერთად ყოფნის უკანასკნელი წამები ასე გამეტარებინა, რომ უფრო სასიამოვნოთ დაგვჩენოდა ხსოვნაში...

იოჭან. (ტოტა ხანს ხელოვნების შემდეგ) მიშველეთ, ფრეილინ ანნა. ალარც სიამაყე და ალარც სულის სიძლიერე ალარ შემწევს. სულ სხვა ვარ ეხლა... მე ის ალარა ვარ, რაც თქვენი მოსვლის დროს ვიყავ: ცხოვრების ზიზღი-ღა შემრჩა.. ყოველივე ჩემთვის ძვირფასი შეურაცხყოფილია, დამცირებულია, შემწიკვლულია... მაგრამ ამავე დროს ვგრძნობ, რომ თქვენის წყალობით, თქვენის ლაპარაკით მე გადავხალასდი და, თუ ვერ მოვახერხე სამუდამოთ ასე დარჩენა, მაშინ მთელ ქვეყნიერობას უარს ვყობ: ყველას და თვით ჩემ სიცოცხლესაც გადუსვამ ხაზს, ,მოვფხეკავ და.... მოუღებ ბოლოს (ჯერ ბოლოსა სტეპს. მერე შედგება ანნას წინ) მიშველეთ, დამეხმარეთ რას დავეყრდნო, დავებჯინო! თავი როგორ შევიმაგრო! სულ ერთიან მოვიშალე, ალარაფერი გამეგება... ჩემში ყველაფერი იშლება ფრეილინ....

ფრ. ანნა. თქვენი ასეთი მდგომარეობა დიდათ მაწუხებს ბატონო ექიმო. მე, სწორე მოგახსენოთ არ შემიძლიან რამე დახმარება გაგიწიოთ, მაგრამ გთხოვთ ერთი რამე არ დაივიწყოთ: ჩვენ წინადვე უნდა გვცოდნოდა, რომ, ადრე თუ გვიან, ეს ბოლო მოგველოდა, ამიტომ ჩვენ ყოველთვის მზათ უნდა ვყოფილიყავით, ბატ. ექიმო.

იოჭან. (ზის დაფიქრებული)

ფრ. ანნა. ბატონო ჰანეს, გესმით? თუ გინდათ ეხლავე ეცადნეთ, რომ ჩვენი სიტყვების თანახმად მოვიქცეთ ჩვენს თავს დაუდვათ კანონი და ამ კანონის მიხედვით მოვიქცეთ, ვიმოქმედოთ... ამ ტრიალ ქვეყანაზე ჩვენ ერთნი ვართ სამუდამოთ, თუნდაც რომ ერთმანეთს ვერასოდეს ველარ შევხვდეთ, გინდათ? სხვაფრივ არას გზით არ შეგვიძლიან დაკავშირება, სხვა ყველაფერი მხოლოდ გაგვაცალკევებს,

თანახმა ხართ? ჰოო? გინდათ!. მაშ ნიშნად თანხმობისა, ხელი მომეცით!.

იოჰან. მე ვგრძნობ, რომ მაგ სიტყვებს ძალუძს მანუგეშოს... მე შემეძლო დაუსრულებლივ მეშრომნა, მეთმინა, თუ კი დარწმუნებული ვიქნებოდი, რომ ოდესმე მაინც მივაღწევ მიზანს? ვინ დამიდგება თავდებად, რომ ტყუილა უბრალოდ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება.

ფრ. ანნა. ბატ ექიმო, რაღა საჭიროა სხვისა დარწმუნება და თავდებობა, როდესაც ჩვენ რამე გვენატრება?

იოჰან. იქნება ეს იმიტომ რომ ხასიათის სიმაგრე არ შემწევს?

ფრ. ანნა. (ძალიან დაბალი ხმით) თუ ჩემ თავს ხასიათის სისუსტე შევატყე, მაშინ გავიხსენებ მტკიცე ხასიათის ადამიანებს... მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს გახსენება ძალ ღონეს მომიმატებს, ბატ. ექიმო, მე თქვენზე ვიფიქრებ!..

იოჰან. ფრეილინ ანნა! მაშ კარგი, კარგი! მე ძალას დავატან ჩემ თავს, მოვინადირებ!.. ჩვენ ვეცადნეთ შევინახოთ გულში წინად გრძნობა სავა, თავისუფალ ურთიერთობის შესახებ კაცსა და ქალ შორის!. დეე, ეს წინადგრძნობა იყოს იყოს იმავე დროს უმაღლესი ნეტარების წინამორბედიც. იმას რასაც ჩვენ ვგრძნობდით, იმ შესაძლებობამ, რამაც ჩვენს გულში გაიღვიძა,—ნურასოდეს ნუ დაივიწყებთ. მომავალი იოგვცემს რასმეს თუ არა—ეს სულ ერთია, ეს რწმენა კი უნდა დარჩეს. ჩემს გულში აენთო ცეცხლი, რომელიც აღარ გაქრება, მაგრამ თუ რამე მიზეზით ის გაქრა, მაშინ გაქრება ჩემი სიცოცხლეც! (ორივენი აღელვებულნი გაჩუმდებიან) გმადლობ ფრეილინ ანნა!...

ფრ. ანნა. აბა მაშ ეხლა მშვიდობით! იყავით ბედნიერად ბ. იოჰანეს!!

იოჰან. თქვენ ეხლა საით წახვალთ?

ფრ. ანნა. შეიძლება სამხრეთისკენ წავიდე,... შეიძლება ჩრდილოეთისაკენ.

იოჰან. მაშ არ იტყვით საითკენ მისდიხართ?

ფრ. ანნა. უკეთესი იქნება თუ მაგის შესახებ არაფერსა მკითხავთ! ..

იოჰან. ნუ თუ ვეღარასოდეს... ორიოდე სიტყვით მაინც არ უნდა ვაცნობოთ ხოლმე ერთმანეთს თუ რას ვაკეთებთ, რითი ვსულდგმულობთ?

ფრ. ანნა. (თავს იქნევს. ნაღვლიანად იღიმება) გავბედავთ კი? ჩვენთვის ყველაზე მეტად სახიფათოა წინდაუხედაობით თავის დაღუპვაა!.. ხოლო თუ ჩვენ დავიღუპენით,—მაშინ ჩვენი ოცნებაც დაემხობა და თავს მოტყუებულად ვიგრძნობთ.

იოჰან. კარგი მაგ ტვირთსაც ვიკისრებ, ვზიდავ, მაგრამ თუ იმ ტვირთ ქვეშ გავისრისე (ანნას ხელსა ჰკიდებს).... ვისურვებ, რომ თქვენ მაინც ბედნიერათ ჰყოფილიყოთ.

ფრ. ანნა. (ხან ფითრდება და ხან წითლდება ეტყობა თავის თავს ძალას ატანს. აღშფოთებულია) ბატ იოჰანეს, აი კიდევ რას გეტყვით: ეს ბეჭედი იმ ქალის ნაქონია, რომელიც ციმბირში მოკვდა, თან თურმე გაჰყვა... თავის ქმარს და სიკვდილამდის არ მოშორებია (დაცინვით) პირობაში ვართ... ჩვენ კი სულ ამის წინააღმდეგ ვიქცევით)....

იოჰან. ფრეილინ ანნა! (ქალის ხელი მიაქვს ტუჩებთან დასაკოცნის)

ფრ. ანნა. მე არასოდეს სხვა სამკაული არ მიტარებია.. როდესაც თქვენ თავს სულმოკლეობა შეატყოთ, მოიგონეთ ხოლმე ამ ბეჭდის ისტორია.. როდესაც მაგ ბეჭედს დახედოთ, მოიგონეთ ხოლმე... ხანდისხან... ის ადამიანი, რომელიც... თქვენგან შორს... თქვენსავით სულით ობოლი განიცდის იმავე შინაგან ბრძოლას .. ეხლა კი მშვიდობით!

იოჰან. (საშინლად აღელვებული) ნუ თუ ჩვენ ერთმანეთს ვერასოდეს ვეღარ ვნახავთ?!.

ფრ. ანნა. ერთმანეთს თუ კიდევ შევხვდით—დავიღუპებ ით.

იოჰან. მე ამას ვერ ავიტან!

ფრ. ანნა. ბრძოლას რაცა თხოულობს, იგივე ჰმატებს ადამიანს ძალ-ღონეს (ამირებს გასვლას)

იოჰან. ანნა! ლიო!

ფრ. ანნა (ტირილ მორეული ხმით) ძმაო, იოჰანეს!.

იოჰან. განა ძმას ნება არა აქვს დას აკოცოს ვიდრე გაშორდებოდეს... საუკუნოდ?

ფრ. ანნა. არა ჰანეს!.

იოჰან. ჰო ანნა! ჰო, ჰო! (ეხვევა. მათი ტუჩები ხანგრძლივ ერთმანეთს ეწაფება, შემდეგ გაუსხლტება და გადის ვერანდაზე.) იოჰანესი პატარა ხანს ზარდაცემულსავითა სდგას. შემდეგ იწყებს დიდი ნაბიჯით ბოლთის ცემას, ოხრავს, შედგება. გაფაციცებით რაღაცას ყურს უგდებს. შორიდან ხმაურობა მოისმის.. ტყეში მატარებელი გაისრიალებს იოჰანესი შუშაბანდის კარებს აღებს და ყურს უგდებს. ხმაურობა ჯერ მატულობს, მერე სუსტდება და ბოლოს სწყდება. ისმის რკინის გზის ზარის ხმა: პირველი, მეორე, მესამე. შემდეგ მოისმის სტვენის ხმა.. იოჰანესი გაემართება თავისი კაბინეთისაკენ, მაგრამ ამ დროს ისე სუსტდება, რომ იძულებული ხდება სკამზე დაეშვას, შეკავებული ქვითინის გამო სულ აცახცახებს, ვერანდაზე სუსტი სინათლეა. მეორე ოთახიდან ისმის ხმაურობა, იოჰანესი წამოხტება და მიდის კაბინეტისაკენ, მაგრამ შედგება, ერთ წამს რაღაცას ფიქრობს, შემდეგ უცბათ გადის ვერანდაზე. საწოლ ოთახიდან გამოდის მოხუცი ფოკერატი, იმას გამოჰყვება ქალბატონი მართა. ორივენი გასავალი კარებისაკენ გაემართებიან.)

ფოკ. (გაჩერდება) ჰანეს? ასე გონია ვიღაცა შემოვიდაო.

ფრ. ფოკ. (კარებში) დიახ, ვიღაცა ამოდიოდა კიბეზე.

ფოკ. ჰო, ჰო, უნდა მოვასვენოთ. ე... დიახ!. მოდი ბრაუნი დავიბაროთ.

ფრ. ფოკ. კარგი იქნება. ავგზავნი ვისმე და ჩამოვაყვანინებ, ან კიდევ მე თვითონ ავალ..

ფოკ. (მიდის ვერენდისაკენ) არა, შენ ნუ წახვალ. (კარებს აღებს და გაიყურება) რა მშვენივრად ანათებს მთვარე. აბა ყური დაუგდე!..

ფრ. ფოკ. (მარდათ გადის ვერანდის შუაგულში) აიქ რა ამბავია?

ფოკ. გარეული ბატებია. აგერ ჰხედავ, ტბის ზემოდან. პატარ-პატარა წერტილებივით დაფრინავენ მთვარის გამოსწვრივ.

ფრ. ფოკ მე სად შემიძლიან იმათი დანახვა? ძალზე თვალთ მაკლია. (ისევ გასავალ კარებისაკენ მიდის)

ფოკ. მართა აბა ყური დაუგდე!

ფრ. ფოკ. (შედგება) რა ამბავია?

ფოკ. სუ მართა!

ფრ. ფოკ. რა მოხდა, არ იტყვი?

ფრ. ფოკ. (კარებს ხურავს და ცოლთან მიდის) არაფერი. რაღაც ხმაურობა მომესმა.. ასე გონია ტბაზე ნიჩბებს უსმენო.

ფრ. ფოკ. ეხლა ვინ უნდა იყოს? (ორივენი შემოსავალ კარებიდან გადიან). (შუშაბანდის მხრიდან ვიღაცა შემოიყურება ფანჯარაში. ეს იოჰანესია, მერე ფრთხილად შემოდის ოთახში, საშინლად გამოცვლილია: გაფითრებული პირგადებული სუნთქავს, ნადირივით იყურება, ფრთხილობს რომ არავინ შენიშნოს. საწერელ-კალამს ეძებს: ბოლოს იღებს კალმის ტარს და სწერს რამდენიმე სიტყვას. შემოესმება ფეხის ხმა; წამოხტება და კალამს დააგდებს. სწრაფად შუშაბანდში იმალება. შემოდის კეტე, აქეთ-იქით მართა და მოხუცი ფოკერეტი მოსდევენ)

ფრ. ფოკ. (კეტეს) ერთი მითხარი, გეთაყვა, ბნელაში რას უზიხარ?

ფრ. კეტე (თვალებს ხელით იჩარდახებს) სინათლეზე თვალები მტკივა.

ფრ. ფოკ. არა, ერთი მითხარით, თქვენი ჭირიმე, რა საძაგელი გოგონაა!.. როგორ შეიძლება ამდენი ხანი ბნელაში ყოფნა!?.

ფრ. კეტ. (ცოტა უნდობლად) ასე რათ მეალერსებით

ფრ. ფოკ. იმიტომ რომ შენს მეტი აბა ვინ გვებადია, გენაცვალე (ჰკოცნის)

ფრ. კეტე. (სუსტათ იღიმება) დიახ, დიახ... ვიცი... ალბად გებრალებით..,

ფრ. ფოკ. კეტე, ცუდათ ხომ არა ხარ?

ფოკ. თავი დაანებე!.. ეხლა ალარაფერი უშავს. მალე ყველა თავის დონეზე დადგება... ღვთის მადლით ხიფათსაც გადავრჩით.

ფრ. კეტ. (სტოლთან დაჯდება. მცირე ხანს სიჩუმის შემდეგ) ლედი არაფერი მიჭირს... მხოლოდ ცოტა თვალები მტკივა.., ასე მგონია

მართლე რო ვთქვა მე ურიგო ბედი არა მქონია. ეი ანნა შტენდელმა ხომპასტორი შეირთო ქმრად, მაგრამ ის რაც გინდა ბედნიერი და კმაყოფილი იყოს, მე მაინც არ შევნატრებ... არა, არაფრის გულისთვის!... რა ბოლის სუნი სდგას აქ. თქვენ ვერ ამჩნევთ?

ფრ. ფოკ. ვერა, შვილო, მე ვერაფერსა ვგრძნობ.

ფრ. კეტ. (სასოწარკვეთილებით თითებს იმტვრევს) ოჰ ღმერთო ჩემო!, სუყველაფერი გათავდა.. სულ!.

ფრ. ფოკ. კეტე, კეტე,! განა შეიძლება ასეთი სულმოკლეობა?! პირიქით, ძე ეხლა იმედებითა ვარ აღვსილი. ღმერთი მოწყალეა!.. გზა დაბნეული თავისი შვილები სიკეთისაკენ მიჰყავს ჩვენთვის მიუწდომელი გზებით. კეტე, მე მგონია, რომ ღვთ.ს განგებას მივხვდი.

ფრ. ფოკ. მაგით რის თქმა გინდა?

ფრ. კეტ. ანნა წავიდა, დედი?

ფრ. ფოკ. ჰო, კეტე! და ეხლა შენ ისევ უნდა გამხიარულდე...

ფრ. კეტ. (გაჩუმებულია, ხმას არ იღებს.)

ფრ. ფოკ. კეტე, იოჰანესი ხომ არ შეგიძულებია?

ფრ. კეტ. (ტოტა სანს ფიქრის შემდეგ) სიტყვაც გიჟურ გარდაწყვეტილებას უნდა დავდგე მეთქი... მასთან—ეხლა უცბად თვალები ამეხილა მეთქი...

ფრ. კეტ. აი, მამი ჩემი ნაღველი: პირველად იოჰანესი რო მოვიდა ჩემ დასანიშნათ, მახსოვს, მთელი დღე ეს აზრი მიტრიალებდა თავში: ასეთ ნასწავლს, განვითარებულ ჭკუიან კაცს ჩემთან საერთო რა აქვს, ჩემში რას ჭპოვებს მეთქი? ეხლა ხომ ხედავთ, რომ ჩემი მაშინდელი ფიქრები, წინადგრძნობა, მართალი გამოდგა.

ფრ. ფოკ. არა, კეტე! ის კი არ არის ჭკუიანად განვითარებული, არამედ შენა ხარ განვითარებულიცა და პატიოსნებით სავსეც, იოჰანე უნდა გეკრძალებოდეს და არა შენ! მართალი თუ გინდა ეს არის.

ბ. ფოკერ. (ხმა უკანკალებს) სრული ეშმარიტებაა... შენ თუნდაც რომ გეპატიებინა მოიაკვდინებელი ცოდვა!..

ფრ. კეტ. ახ ნეტავი კი ყოფილიყო სიპატიოსანი!.. შეიძლებოდა ათჯერ, ასჯერ

(გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში)

* *

ერთს ტრიალს მინდორს, მაღლობ ადგილზედ,
მთავარი კერპი აღმართულიყო,
მის ხელის გულზე ბავშვი იწოდა,
შემბრალებელი არავინ იყო.

—

ცა მშვენიერი ლამაზის სახის,
მთლად შეიმოსა შავის ღრუბელით,
დაბნელდა ირგვლივ... და ის ადგილიც
მოცული იქმნა საიდუმლებით,
უცბად იქუხა და წამოვიდა
კოკისპირულად ძლიერი წვიმა
და აღმართული იმ ადგილს კერპი
პირ-დაღებულმა შთანთქა მიწამა.

—

გამოიდარა... და იმის ნაცვლად
გამოჩნდა სულ სხვა, სხვა სანახავი:
კერპის მაგივრად ანგელოზი სჩანდა,
მან გაუთხარა იმას საფლავი.

—

ერეკლე ეანჩელი.



წვრილი ამბები

კაკი წერეთლის ლექციას (ომი და რევოლუცია) სახემწიფო თეატრში ღვინობისთვის 8 დიდძალი ხალხი დაესწრო. დამსწრე საზოგადოება სახელოვან პოლიტიკურ მოღვაწე-წამებულს დიდის ტაშით შეხვდა, ლოჟებიდან ვარდ-ყვავილები გადმოაფინეს. ლექტორმა საათი და ერთი ჩარექი ილაპარაკა შეუჩერებლივ, რომელსაც შიგა და შიგ ტაშით აწყვეტინებდნენ, სიტყვას. შეეხო ომს, რევოლიუციის გამომწვევ მიზეზებს, კონტრ-რევოლიუციონერთა მიდრეკილებას. რევოლიუცია დამარცხებისგან უნდა იხსნას დემოკრატიამ სხვა რევოლიუციონურ ძალებთან შეკავშირებით, თანამედროვე ომიდანაც რუსეთი გამარჯვებული უნდა გამოვიდეს მეომარ სახემწიფოთა დემოკრატიის ამოძრავებითო.

კომპ. ზელ. ბალანჩივაძე ამ ჟამად თბილისშია.

ქართულ მუსიკოს-მომღერალთა კავშირის გამგეობამ თვის უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტა: 1) ხელმეორედ მოსთხოვოს ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობას, რათა მოკლე დროში მოწვეულ იქმნეს საზ-ის წევრთა არა ჩვეულებრივი საგანგებო კრება; 2) ეთხოვოს თბილისის სამუსიკო სასწავლებელს, რათა ამ სასწავლებელში დაწესებულ იქმნეს ქართული მუსიკის კათედრა და 3) მიეწეროს ყველა ქართველ მუსიკოს-მომღერალს, თბილისში თავი მოიყარონ, თუ შესძლებენ და თუ ვერა, კავშირს აცნობონ, ვის რა დაუწერნია და რა გზით შეუძლიანთ ქართულ საოპერო დასში მონაწილეობის მიღება.

მომღერალი ვარდენ ლორთქიფანიძე, რომელიც გასულ კვირას „თეატრი და ცხოვრების" საღამოში ავადმყოფი გამოვიდა, უარესად ავად შეიქმნა.

ჩვენი თანამშრომლის სვ. წერეთლის პიესის „მეორედ მოსვლის" დადგმას ფიქრობენ ქართულ კლუბში. მთავარ როლს შეასრულებს ვ. აბაშიძე.

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების კრება შესდგა დეპუტატთა საკრებულოში. კრებამ ერთხმად აირჩია და დაამტკიცა სარეკომენდაციო კომისიის მიერ დასახელებული წევრნი გამგეობისა და საფინანსო კომისიისა. გამგეობაში არჩეულ იქმნენ თავმჯდომარედ აკაკი ჩხენკელი, წევრებად ა. ნ. აფხაზი, ვ. რ. ყიფიანი, ე, ს. თაყაიშვილი კნ. მ. ვ, ჯამბ.-ორბელიანისა, ი. ლორთქიფანიძე, ივ. გომართელი, გრ. რცხილაძე. ზედამხედველი კომიტეტში: გ. დ. ჟურული დ. ვ. ქუთათელაძე, ი. ლორთქიფანიძე დ. კ. ჩხეიძე და ს. მ ტარუაშვილი, საფინ' კომის' 20-დე წევრია. ფრიად შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა მეცნიერმა ივ. ჯავახიშვილმა, რითაც შეეხო უნივერსიტეტის გეგმასა და მდგომარეობას. მეცნიერს მხურვალე ტაშით შეეგებნენ და ბოლოს გრ. დიასამიძის წინადადებით, მადლობაც გადაუხადეს მეცნიერთაგან სამი წევრი შევა გამგეობაში.

ყარამან კიკნაველიძემ ქართული უნივერსიტეტის საზოგადო კრებაზე მეცნიერს ივ. ჯავახიშვილს გადასცა კონვერტით ფული (ასი თუმანი) წერილითურთ, რომელშიაც სხვათა შორის, სწერდა—ქართული უნივერსიტეტის გახსნის აზრმა ძლიერ გამახარა, რადგან იგი შეიქმნება ჩვენის სამშობლოს ერთ ამაღორძინებელ მიზეზად, და მე, როგორც ჩვენი ქვეყნის წინმსვლელობის ერთი მონატრე ქართველთაგანი ჯერჯერობით ამ ჩემს მცირე წვლილს (ათას მანათს) გიძღვნით საუნივერსიტეტო თანხისათვისო. საზოგადოება ხანგრძლივი ტაშით შეხვდა უხვ. შემომწირველ-იგი საფინ ანსო კომისიაშია არჩეული.—ეს პირველი მერცხალია უნივერსიტეტის თანხის შემწირველთა შორის, ვისურვოთ მრავალ მერცხალთა მოფრენა საამო გაზაფხულის მოსვლის ნიშნად.

დრამატურგი ტრ. რამიშვილი ორი კვირის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მოჯობინების გზას დაადგა.

ქართველ მწერალთა კონფერენცია პარტიულ განხეთქილებას იჩენს. არ ემჩნევა ერთსულოვანი მუშაობა. კონფერენციას დღეს დაასრულებენ.

ქუთაისის დასი უკვე მუშაობას შეუდგა მ. ქორელისა და ვ. ბარველის რეჟისორობით. დასში საუკეთესო ძალნი არიან მოწვეულნი.

დამფუძნებელ კრებისთვის სოციალ დემოკრატმა მეუმცირესებმა კანდიდატებად დაასახელეს: ნოე ჟორდანია, ირ. წერეთელი, კარ. ჩხეიძე, ევ. გეგეჭკორი, არშ. ზურაბოვი, ნოე. რამიშვილი, ის. რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი, მ. სკობელევი, ვლ. ჯიბლაძე, გრ. გიორგაძე.

ჟურ. ,,თეატრი და ცხოვრები'' თავის ხარჯით გაუწერეს: 1) მ. სიორიძემ იოსებ ტუღუშის სახსოვრად ზედობანის სამკითხველოს. 2) მარიამ გიორ. ავალიანის ასულმა—კარიანთის სამკითხველოს, 3) მე-6-ე ბრიგადის ობოზნი კომიტეტს—კ. თაყაიშვილმა, 4) კვირიკე-ზემოხეთის სამკითხველოს—ს.კ. ბოლქვაძემ.

ქართულ კლუბში ღვინობისთვე 6 ქართ. დრამ. დასმა წარმოადგინა ნათარგ. პიესა ,,ნიშანი ყოფაქცევაში''. მთავარ როლებს ასრულებდნენ: ნიკო გვარამძე (შვილი) და პ. კორიშელი (მამა.) ორივემ მშვენიერად ჩაატარეს თავისი როლები: კარგი ექიმი იყო ა. იმედაშვილი. სუსტი იყო ჯავახიშვილისა, მან სავსებით ვერთ დაგვიხატა დედის როლი, სხვები ანსაბლს ხელს უწყობდნენ, წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო.

ჩვენი თანამემამულე შულიგინა (ბახუტაშვილის ასული) ქართულ კლუბის ოპერაში პირველად გამოვიდა ღვინობისთვის 8 ოპერა ,,პაიაცში''

მომღერალს ქალი საზოგადოებამ ტაშის ცემით და ყვავილებით დააჯილდოვა, მას დიდათ სასიამოვნო ხმა აქვს და ახლო მომავალს ქართულ ოპერისათვის საკმაო ძალას წარმოადგენს,

ახალი პიესას ,,პავლე 1'' მეროეჟკსვსკის ზედიზედ დგამს ,,ტაროტო''ს ამხანაგობა, საერთოდ პიესა კარგათ, მიდის და ხალხიც ბევრიც ესწრება, სასურველია, ამნაირი დროიის შესაფერი პიესები ხშირად იდგმებოდეს.

„თეატრი და ცხოვრების სასარგებლოდ დარია ახველდიანის თაოსნობით გამართულმა საღამომ დიდძალი საზოგადოება მოიზიდა. საღამომ კარგად ჩაიარა. დაწვრილებით შემდეგ ნომერში.

გულდამწვარი მშობელნი ვარდენ (ვარლამ)**ალექსანდრეს ძე და სოფიო გრიგოლის ასული ავალიანები** ნათესავთა და ნაცნდბთ აუწყებენ,რომ დღეს, კვირას ღვინობისთვის 15 კუკიის წმ ნინოს სასაფლაოზე გადახდილ იქმნება ერთი კვირის წირვა-პანაშვიდი ტრაღიკულად დაღუპულ მათი დაუვიწყარ შვილის

ალექსანდრე (საშა) **ავალიანის**

ულის მოსახსენებლად წირვა დაიწყება დილის 10 ს. სპანაშვიდი—12 ს.

შემოწირულება

ჟურნ ლ ,,თეატრი და ცხოვრება"—ს

შემოსწირეს:

1, ალექ. ესტ. მოზდოკელმა — 25 მან.
2, ელო ანდრონიკაშვილმა (საპრიზო)—50 მან.
3, ბ—ნმა ბახუტაშვალმა — 25 მან.
4, კბალის ექიმმა ჩარკვიანმა — 10 მან.
5, ჯარის კაცმა ვასო აბდალაძემ — 5 მან.
6, პოდპორ. პლატონ სარდ. გაბუნიამ—10 მან.
7, პრაპორ. თეოფანე მაღნარაძემ — 5 მან.
8, პრაპ. ფიდო ფიცხელაურმა — 10 მან.
9, ისიდ. დავ, დავითაშვილმა — 6 მან.
10, ბაბო სულხანიშვილმა — 2 მამ.
11, სილიბისტრ თომ. სულაძემ — 5 მან.
12, თ. ტიტიკო ჭავჭავაძემ — 5 მან.

შემომწირველთ გულითადს მადლობას ვუძღვნით.

რედაქცია.

ქართული კლუბი

1 კვირის პროგრამმა

კვირა—საღამო წარმოდგენა.
ორშაბათი—ოპერეტა. მუსიკა
სამშაბათი—საოჯახო საღამო
ოთხშაბ.—სინემოტოგრაფ. სიმებ. ორკ.
ხუთშა. —ქართ. წარმოდგენა. მუსიკა
პარასკ.—ოპერეტა.
შაბ.—საოჯახო საღამო
კვირა რუსული—წარმოდგენა.

წლის ბოლომდე ღირს 5 მან. ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაში—ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სახ. არჯევანიძისა.

საფოსტო მისამართი: **თბილისი, რედ.** „თეატ. და ცხოვრება"—**იოსებ იმედაშვილს.**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**